

**დავით მერკვილაძე**  
*თსუ ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის*  
*ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი*

## **XVII საუკუნის საქართველოს ნავსადგურები კათოლიკე მისიონერების ცნობების მიხედვით**

გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს საზღვაო ნავსადგურების შესახებ უმნიშვნელოვანესი ცნობები უცხოელმა ავტორებმა შემოგვინახეს. ეს ნავსადგურები ამ ხანებში მნიშვნელოვან სავაჭრო პუნქტებს წარმოადგენდა, საიდანაც შემოჰქონდათ უცხოური საქონელი და გადიოდა ადგილობრივი ნაწარმი თუ ნედლეული და, რაც განსაკუთრებით მტკივნეულია, აქედან მასობრივად გაჰყავდათ ასევე ტყვე მონები. XVII საუკუნის ნავსადგურების შესახებაც საინტერესო ცნობებს გვაწვდიან საქართველოში მოღვაწე თუ სამოგზაუროდ მყოფი სხვადასხვა ევროპელი ავტორები, რომელთა შორის უდავოდ გამორჩეული ადგილი უჭირავთ კათოლიკე მისიონერებს: არკანჯელო ლამბერტის, კრისტოფორო კასტელის, გაეტანო რასპონის, ლუი გრანჟეს, ჯოვანი ჯულიანო და ლუკას. უფრო სრული სურათის შესაქმნელად და წყაროების შესადარებლად ვიმოწმებთ სხვა ევროპელი მოგზაურების – ჟან შარდენისა და იოჰან გიულდენშტედტის მონაცემებსაც.

სტატიაში კათოლიკე მისიონერების მიერ მოწოდებული მასალისა და ზემოაღნიშნული მოგზაურების ჩანაწერებში შემონახული ცნობების განხილვისა და შეჯერების საფუძველზე მოკლედ ვახასიათებთ თითოეულ ნავსადგურს და აღვნიშნავთ მათ მნიშვნელობას.

გონიო: 1614 წელს სამეგრელოში მიმავალ იეზუიტ მისიონერ ლუი გრანჟეს<sup>1</sup> ოსმალეთის ადგილობრივი ხელისუფლებისაგან ემცნო, რომ მას გონიოს იქით ქართული სამთავროებისაკენ გზის გაგრძელების უფლება არ ეძლეოდა, სანამ გურიისა და სამეგრელოს მთავრები ოსმალეთის შეთავაზებულ პირობებს ხელს არ მოაწერდნენ და, შესაბამისად, მათთან ბავი არ დაიდებოდა (ტაბალუა 1986, 42, 45). იმ დროს

<sup>1</sup> მ. თამარაშვილი ამ მისიონერს ლუდოვიკე გრანჯერიოდ მოიხსენიებს (თამარაშვილი 1902, 134-142).

გურიის სამთავროს საზღვრები სამხრეთით ჭოროხამდე ვრცელდებოდა, გონიოს ციხე-ნავსადგური კი მდინარის მარცხენა, ანუ სამხრეთ სანაპიროზე იდგა. შესაბამისად, XVII სკ-ში იგი ოსმალეთის სასაზღვრო პუნქტს წამოადგენდა.

ევლია ჩელების ცნობით, ტრაპიზონის ვილაიეთის ფარგლებში შემავალი გონიო „სამეგრელოს მისადგომზე<sup>2</sup> და [სახელმწიფოს] ფარგლების დასასრული“, რის გამოც მისი ციხის გარნიზონი ლაშქრობისაგან გათავისუფლებული იყო და მხოლოდ ციხის დაცვა ევალებოდა. ოსმალთა ისტორიკოსი იქვე დასძენს, რომ იმპერიის ამ განაპირა ციხეს „კაზაკები მრავალჯერ დაესხნენ თავს, ქონება დავლად წაიღეს, მოაოხრეს და დაანგრეს“ (ჩელები 1971, 95). სასაზღვრო მდებარეობის გამო გონიოს ციხეში ოსმალური საბაჟოც იყო მოწყობილი (შარდენი 2018, 259). ჟან შარდენის აღწერით, გონიო „დიდი კვადრატული ციხესიმაგრეა, რომელიც აგებულია არაჩვეულებრივად დიდი, მაგარი, გაუთლელი ქვებით. იგი დგას ზღვის ნაპირზე, ქვიშიან ნიადაგზე. მას არც თხრილები აქვს და არც სამაგრები, მხოლოდ ოთხი კედელია, ორი კარიბჭით – ერთი აღმოსავლეთით, რომელიც ზღვას გადმოჰყურებს, და მეორე – ჩრდილოეთით.“ შარდენს იანიჩარების მცირერიცხოვანი რაზმით დაცულ ამ ციხეში ორი ზარბაზანი უნახავს (შარდენი 2018, 258-259).

თუმცა ლუი გრანჟეს მგზავრობისას ოსმალებმა გონიო „ნავების დასადგომად ნაკლებად საიმედოდ“ მიიჩნიეს და მისგან ცხრა მილით დაშორებულ, „ხელსაყრელ მხარეს“, მაკრიალთან შეჩერება ამჯობინეს (ტაბალუა 1986, 42). იმჯერად გონიოს ციხისა და ნავსადგურის „არასაიმედოობა“, როგორც ჩანს, იმ გარემოებით იყო განპირობებული, რომ მეზობელ ქართველ მთავრებთან ზავი ჯერ გაფორმებული არ იყო და მათ საზღვართან მდებარე ნავსაგურში დგომა უხიფათოდ არ მიიჩნიეს.

**ბათუმი:** ბათუმის შესახებ ცნობები აღნიშნულ ხანაში მოღვაწე კათოლიკე მისიონერებში თითქმის არ გვხვდება. ამ მხრივ, ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს იეზუიტი მოღვაწის, ლუი გრანჟეს აღნიშვნა, რომ 1614 წელს წმ. ლუჩიას დღესასწაულზე (13 დეკემბერი), „საქართველოს ნავსადგურ ბათუმში“ გურიელს ოსმალეთთან ზავი შეუკრავს, რის

<sup>2</sup> უფრო სწორად, გონიო გურიის სამთავროს მისადგომზე მდებარეობდა. დაწვრილ. იხ. ქვემოთ.

შემდეგაც ოსმალეთის მიმდებარე სანაპიროზე (მაკრიალში) შეჩერებული ლუი გრანჟეს და მის თანაშემწე მორჩილ ძმა ეტიენ ვიოს უფლება მიეცათ, სამეგრელოსაკენ გამგზავრებულიყვნენ (თამარაშვილი 1902, 138; ტაბაღა 1986, 46). ვინაიდან ბათუმი ჭოროხის შესართავის მარჯვენა, ანუ ჩრდილოეთ, მხარეს მდებარეობდა, იგი გურიის ფარგლებში იყო მოქცეული, ამიტომ სრულიად ლოგიკურია იეზუიტი ბერის მიერ ბათუმის საქართველოს ნავსადგურად დასახელება.

ქობულეთი: კათოლიკე მისიონერებთან საქართველოს საზღვაო ნავსადგურებს შორის ყველაზე ხშირად ქობულეთი იხსენიება. ამავე დროს მოიპოვება მითითებები, რომ იგი გურიის ნავსადგურს წარმოადგენდა. ქობულეთს არაერთხელ ახსენებენ თეატელი მისიონერები: კრისტოფორო კასტელი და არკანჯელო ლამბერტი.

ლამბერტი აღნიშნავს, რომ „გურიელის სამთავროში“ ზღვის პირას მდებარე ქობულეთში მრავლად მოდიოდნენ ვაჭრები ოსმალეთის ახლომდებარე ქალაქებიდან, კერძოდ, რიზედან, გონიოსა და ტრაპიზონიდან (სამეგრელო 2011, 94). ოსმალეთის ნახსენები ქალაქებიც საზღვაო ნავსადგურებს წარმოადგენდნენ და, ცხადია, ვაჭრები აქედან ქობულეთში დიდი თუ მცირე მცურავი საშუალებით შემოდოდნენ ქობულეთის ნავსადგურში. ეს გარემოება, თავის მხრივ, განაპირობებდა აქ სხვადასხვა საქონელთან ერთად ტყვეებით ვაჭრობასაც (დაწვრი. იხ. მერკვილაძე 2022, 150-178). ადამიანებით მოვაჭრე ავაზაკებს სამეგრელოში მოტაცებული ადამიანები, დანაშაულის დაფარვის მიზნით, ხშირად ჩუმად გადაჰყავდათ ხოლმე მეზობელი სამთავროს ამ ნავსადგურში უცხოელი ვაჭრებისათვის მისაყიდად. ქობულეთის ნავსადგურის მიმდებარედ მოწყობილი იყო საგანგებო მოედნები, სადაც გემების ჩამოდგომის შემდეგ გაცხოველებული ვაჭრობა იმართებოდა. ჩანს, ცალკე ადგილი იყო გამოყოფილი ადამიანებით მოვაჭრეებისათვის. ამ მოედნისა და იქ მიმდინარე ვაჭრობის არაერთი ჩანახატი შესრულებული აქვს მისიონერ კრისტოფორო კასტელის შესაბამისი მინაწერებითურთ (კასტელი 1976, 147; 148). ქართლის დატოვების შემდეგ კასტელი გურიის კათოლიკურ მისიონში მოღვაწეობდა წლების განმავლობაში და, ბუნებრივია, რომ ქობულეთის ნავსადგურს, სხვა ნავსადგურებისაგან განსხვავებით, მის ჩანახატებში გამორჩეული ადგილი უკავია.

სამეგრელოში ლევან დადიანთან სტუმრად მყოფი დომინიკელი მისიონერი ჯოვანი ჯულიანო და ლუკა გურიის მთავარ მალაქია კათოლიკოსთან ქობულეთის (Coble) გავლით მისულა (თამარაშვილი 1902, 149; ტაბალუა 1987, 167), რაც გვაგარაუდებინებს, რომ სამეგრელოდან ქობულეთისაკენ მან ზღვით იმგზავრა. შემდგომ მალაქიამ იგი ოთხ კაცს მიაცილებინა კვლავ ქობულეთამდე, საიდანაც იგი ტრაპიზონისაკენ მიმავალ გემზე დამჯდარა (ტაბალუა 1987, 168). ჯოვანი და ლუკას თბრობიდან იკითხება, რომ ჩრდილოეთიდან (როგორც წესი, კაფადან) შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებისაკენ მომავალი გემები გზად ქობულეთის ნავსადგურში ჩერდებოდნენ.

თუმცა სხვა ცნობიდან ვიგებთ, რომ ყოველთვის ასე არ ხდებოდა. აღსანიშნავია, რომ სამეგრელოდან გონიოს ნავსადგურისაკენ მიმავალ გემს, რომელზეც ფრანგი ვაჭარი ჟან შარდენი იმყოფებოდა, ქობულეთის ნავსადგურისათვის შუალამისას შეუჩერებლად ჩაუვლია (შარდენი 2018, 258).

რაც შეეხება ქობულეთის გურიისადმი მიკუთვნებას, დომინიკელი მისიონერების ცნობები ისტორიულ-გეოგრაფიული კუთხითაც უტყუარია. ამ ვითარებას ამოწმებს ისევე ჟან შარდენი, რომელიც წერს, რომ „გურიელის ქვეყანა პატარაა... ის გაშლილია ამ ზღვის გასწვრივ მდინარე ფაზისიდან მეორე მდინარემდე, რომელიც თურქების სიმაგრე გონიოდან (Gonie) ერთი მილის სიშორეზე მოედინება და ფაზისიდან ორმოცი მილით არის დაშორებული“ (შარდენი 2018, 205). ცხადია, მდ. ფაზისი რიონია, გონიოს ციხესთან ნახსენებ მდინარეში კი, უთუოდ, ჭოროხი იგულისხმება (შარდენი 2018, 390, შენ. 232). მაშასადამე, ამ დროს გურიის სამთავრო რიონიდან სამხრეთით ჭოროხამდე ვრცელდებოდა და, ქობულეთის გარდა, ბათუმიც კი მის შემადგენლობაში შედიოდა. ვითარება შეიცვალა XVIII საუკუნის დასაწყისში, როცა ქვემო გურიად წოდებული ეს მხარე ოსმალებმა დაიკავეს. მიუხედავად იმისა, რომ გიულდენშტედტის საქართველოში მოგზაურობის დროს (1772 წ.) გურიის მიწა ჭოროხიდან ჩოლოქამდე უკვე ოსმალეთის მითვისებულია და გიულდენშტედტმა ეს მშვენივრად უწყის, ძველი ვითარების ანალოგიით, მაინც მდ. ჭოროხს ასახელებს ერთგან გურიის სამხრეთ, მეორეგან კი – სამხრეთ-დასავლეთ საზღვრად (გიულდენშტედტი 1962, 311, 313).

**სატყეპელა.** კათოლიკე მისიონერთა შორის ასევე ერთადერთია ზემონახსენები ლუი გრანჟე, რომელიც ახსენებს სატყეპელას (Satcapella).<sup>3</sup> მას მერე, რაც გურია-ოსმალეთს შორის ზავი დაიდო, გრანჟე ლაზეთიდან ნავით მოემართება და ჩაუვლია რა გონიოს კონცხისათვის, ორი დღის შემდეგ მშვიდობით მისულა „საქართველოს ქალაქ სატყეპელაში.“ აქ, ზღვისპირას, მისიონრებს შეხვედრია გურიელის ვეზირი, რომელსაც მათთვის ცხენები მიუცია, რათა გურიელთან შესახვედრად წაეყვანა ისინი.

გურიის მთავართან სტუმრობის შემდეგ მისიონერები უკან ისევ სატყეპელასკენ მიემართებიან, მთავრის ქვეშევრდომის თანხლებით: „ესრეთ გურიელმა გაგვისტუმრა სატყეპელას დიდი პატივით და მეგობრულად; ეგრეთვე ერთი კაცი გაგვაცოლა, რომ იქიდან პატარა ნავით წავეყვანეთ სამეგრელოში...“ (თამარაშვილი 1902, 140).

სატყეპელა უთუოდ გურიის სამთავროშია საგულვებელი, ვინაიდან 1. იგი მოხსენიებულია „საქართველოს ქალაქად“. ადგილობრივი სასაუბრო ენის მიხედვით, მისიონერები, სამეგრელოსაგან განსხვავებით, გურიას ხანდახან „საქართველოდ“ მოიხსენიებდნენ. 2. გრანჟე სატყეპელას მიდამოებში ხვდება გურულ წარჩინებულს – „გურიელის ვეზირს“, რომელსაც, მისიონერების ვინაობის შეტყობის შემდეგ, ისინი გურიელთან წარსადგენად მიჰყავს. 3. გურიის მთავარი მისიონერებს უკან, სატყეპელასკენ, ისტუმრებს, რათა ისინი ნავით გაემგზავრონ სამეგრელოში (შდრ. თაყაიშვილი 1915, 52a).

ვინაიდან აქედან ოსმალებთან ერთად ზღვაში გასული მისიონერები იმავე დღეს შესულან რიონში, სატყეპელა ქობულეთის ჩრდილოეთით ზღვის სანაპიროზე არის საძიებელი. ამის გათვალისწინებით, ე. თაყაიშვილი ლოგიკურად ასკვნის, რომ სატყეპელა საძიებელია ფოთის სიახლოვეს, მისგან სამხრეთით – გურიაში და ეს პუნქტი შეიძლება ყოფილიყო დღევანდელი გრიგოლეთი ან მის მახლობლად მდებარე

<sup>3</sup> ი. ტაბალუას ეს ტოპონიმი ლათინური დაწერილობის შესაბამისად – „სატკაპელად“ გადმოაქვს (იხ. ტაბალუა 1986, 138-140). ქართული ენობრივი თავისებურების გათვალისწინებით ჩვენ მაინც „სატყეპელა“ ვამჯობინეთ, რომელიც ევროპელ ავტორს თავის წერილში Satcapella-ს ფორმით უნდა შეეტანა. მით უფრო, რომ ვახუშტის რუკაზე ლაზეთში, რიზეს მახლობლად მითითებულია ამავე სახელწოდების პუნქტი. თუმცა მის თავდაპირველ, 1616 წლის გამოცემაში, სავარაუდოდ ბეჭდური შეცდომის გამო, მისი სახელწოდება წარმოდგენილია როგორც Satrapella.

სეფა (თაყაიშვილი 1915, 52a-52b). ჩვენი მხრით, უფრო დამაჯერებლად გრიგოლეთის ვერსიას მივიჩნევთ, მით უფრო, რომ 1. გრიგოლეთი სუფსის შესართავთან მდებარეობს (ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოს მდინარეების ზღვასთან შესართავები ხშირად გამოიყენებოდა ხოლმე ნავმისადგომებად (ბერაძე 2018(ბ), 76). 2. აქედან სუფსის ნაპირის გასწვრივ პირდაპირი გზა მიდიოდა ბაილეთამდე, გურიელის რეზიდენციამდე, საითკენაც სატყეპელადან ცხენებით გაემშურნენ მთავართან მიწვეული მისიონერები (თაყაიშვილი 1915, 52b).

საგულისხმოა, ე. თაყაიშვილის მოსაზრებაც იმის თაობაზე, რომ სახელწოდება სატყეპელა ამ ადგილისათვის უნდა შეერქმია ოსმალთაგან შევიწროების გამო ლაზეთიდან გურიის სამთავროში გადმოხვეწილ და აქ დამკვიდრებულ მთავარეპისკოპოსს – თავისი ძველი სამყოფელის სახელის მიხედვით (თაყაიშვილი 1915, 52b).

აღსანიშნავია, რომ სატყეპელას არ ახსენებს არც ერთი სხვა უცხოელი ავტორი.

#### ფოთი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სატყეპელადან გასული გემი იმავე დღეს შედის მდ. რიონში, „სამეგრელოს უმთავრეს მდინარეში“ (სინამდვილეში მდ. რიონი სამეგრელოსა და გურიის სამთავროებს მიჯნავდა ერთმანეთისგან). ამ მდინარის შესართავთან, მის მარცხენა ნაპირზე, გაშენებული იყო, ანტიკურ ხანაში ფაზისად წოდებული, ძველისძველი ქალაქი ფოთი. ვინაიდან ამ ადგილას ბუნებრივი ყურე არ არსებობდა, ამის გამო მცირე წყალწყვის გემები ცივი ქარისა და უამინდობისას თავს რიონის შესართავში აფარებდნენ (ბერაძე 1981, 15). სავარაუდოდ, ამიტომ იყო, რომ ოსმალური გემი, რომლითაც სამეგრელოს მთავართან შესახვედრად მიმავალი იემუიტი მისიონერები მგზავრობდნენ, გზად რიონის შესართავში შევიდა, მით უმეტეს, რომ მაშინ ჯერ კიდევ ზამთარი იდგა (3 თებერვალი იყო).

ზოგჯერ გემები მდ. რიონს აუყვებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან სავაჭროდ, როგორც ამას ჟან შარდენი შესწრებიან. შარდენი იქვე დასძენს, რომ ადგილობრივთაგან რიონად სახელდებულ მდ. ფაზისს თურქები „ფაშს“ უწოდებდნენ (შარდენი 2018, 257). ფოთის თურქულ სახელად ფაშს მიუთითებს იოჰან გიულდენშტედტიც და იქვე განმარტავს, რომ ეს სიტყვა თურქულად „ნიშნავს ნავთსადგურს,

ან საერთოდ ნავმისადგომს“ (გიულდენშტედტი 1962, 171, 313). სხვაგან გიულდენშტედტი აღნიშნავს, რომ თურქების მფლობელობაში მყოფი ფოთის [ციხის] კედლებთან ზღვის ფსკერი ნავმისადგომად მოსახერხებელია და აქ თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოდან იკრიბებიან სავაჭროდ (გიულდენშტედტი 1776).

### ანაკლია

ლუი გრანჟე იტყობინება, რომ რიონის შესართავიდან გასული მომცრო გემი, რომლითაც იგი მგზავრობდა, მეორე დღეს მივიდა ნავსადგურში, რომლის სახელწოდება სხვადასხვა გამოცემაში განსხვავებულად არის მოცემული. მ. თამარაშვილს დედნისეულ ვარიანტად მოჰყავს Eroinchan და იქვე მის მეორე – დამაზუსტებელ სახელად – Heraclee. პირველ სახელწოდებას მ. თამარაშვილი კითხულობს როგორც ერვინხანს (თამარაშვილი 1902, 140)<sup>4</sup>, თუმცა მის ნამდვილ ჟღერადობასთან შედარებით უფრო ახლოს უნდა იდგეს ი. ტაბალუას წაკითხვა – ერენკანი. თამარაშვილისეული „ჰერაკლია“ კი მასთან „ერაკლიედ“ არის ჩანაცვლებული (ტაბალუა 1986, 50).<sup>5</sup> აღსანიშნავია, რომ გრანჟეს წერილის უადრეს, 1616 წლის, გამოცემაში ნავსადგურის თავდაპირველი სახელწოდება მოცემულია Herailcano-ს სახით (გრანჟე 1915, 49-49). ცხადია, რომ ჰერაკლეა (//ერაკლია) თანამედროვე ანაკლიაა.

ანაკლიის ძველ სახელად სწორედ ჰერაკლეას (იმავე დაწერილობით) ასახელებს ჟან შარდენი, რომელიც მას „სამეგრელოს ყველაზე მნიშვნელოვან ადგილს“ უწოდებს. ანაკლიის შესახებ იგი იქვე სხვა საინტერესო ცნობებსაც იძლევა: „ანაკლია სოფელია, რომელიც ზღვიდან ორი მილით არის დაცილებული. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილია სამეგრელოში. აქ ასამდე სახლია, რომლებიც იმდენად შორსაა ერთმანეთისგან, რომ პირველი სახლიდან ბოლო სახლამდე მანძილი ორ მილს შეადგენს. ამ სოფელში ყოველთვის არიან ტყვეების შემსყიდველი თურქები და ნაგები, რომლითაც მიჰყავთ ისინი. ამბობენ, რომ ეს

<sup>4</sup> პირველ სახელწოდებას მ. თამარაშვილი კითხულობს როგორც ერვინხანს, თუმცა ნამდვილ ჟღერადობასთან შედარებით უფრო ახლოს უნდა იდგეს ი. ტაბალუას წაკითხვა – „ერენკანი“. თამარაშვილისეული „ჰერაკლია“ (Heraclee) კი ი. ტაბალუასთან „ერაკლიედ“ არის ჩანაცვლებული (ტაბალუა 1986, 50).

<sup>5</sup> ილ. ტაბალუასთან დედნისეულ ვარიანტები არაა მოცემული. თარგმანი კი შესრულებულია 1869 წლის ფრანგული გამოცემიდან (ტაბალუა 1986, 37).

სოფელი გაშენებულია იმ ადგილას, სადაც ოდესღაც დიდი ქალაქი იყო, რომელსაც ჰერაკლეა (Heraclee) ერქვა.“ (შარდენი 2018, 217).

ანაკლიას, მისი სახელწოდების მეგრული გამოთქმით – „ანარგია“ (Anarghia) მოიხსენიებს არკანჯელო ლამბერტი თავის წიგნში – „წმინდა კოლხეთი“ (ლამბერტი 2020, 65, 382). სავარაუდოდ, მის მიერვე შედგენილ რუკაზე კი მას მიუთითებს მდ. ენგურის ნაპირას, როგორც მისი ძველი, ასევე ახალი სახელწოდებით – „Anargia olion Heracles“.

წიფურიაში მდებარე ოდიშის კათოლიკურ მისიონში გამოგზავნილი კათოლიკე მისიონერები სწორედ ანაკლიის ნავსადგურში უნდა შესულიყვნენ, თუმცა ნავსადგურის დაზუსტებას, ამ შემთხვევაში, აღნიშნული მისიონის ისტორიის შემდგენელი ლამბერტი არ იძლევა. ამ ვარაუდს ამაგრებს ისევე ჟან შარდენი. სპარსეთისაკენ მიმავალ ვაჭარს ამ სამთავროში ჩამოსვლა არეულ დროს (აფსუების მიერ სამეგრელოს მოსაზღვრე სოფლებზე თავდასხმებისას და ძარცვისას) მოუწია და ყველაზე საიმედო დროებითი თავშესაფარი ეგულებოდა წიფურიაში, თეატელთა მისიონში, საიდანაც შეძლებდა გზის შემდგომ გაგრძელებას. ამიტომ მან, ისგურის გავლით, ანაკლიის ნავსადგურამდე გააგრძელა ხომალდით მგზავრობა და იქ გადმოვიდა ნაპირზე (შარდენი 2018, 208). ანაკლიიდან წიფურიაში მანძილი კი, მისივე მითითებით, 20 მილს შეადგენდა (შარდენი 2018, 211).

ანაკლია უშუალოდ ენგურის ზღვასთან შერთვის ადგილას არ მდებარეობდა და ზღვიდან 2 მილით იყო დაცილებული. ამ მანძილის დაფარვას მაშინდელი ფელუკები საშუალოდ 2 საათს უნდებოდნენ. დატვირთული ნავების მესაჭეებს კი დიდი ოსტატობა სჭირდებოდათ მდინარის ამ მონაკვეთზე არსებული დასილული მეჩჩეებისათვის თავის ასარიდებლად (შდრ. შარდენი 2018, 253).

საფიქრებელია, სამეგრელოში ხანგრძლივი მისიის დასრულების შემდეგ სამშობლოსაკენ მიმავალი ლამბერტიც ანაკლიის ნავსადგურზე დამკდარიყო კაფასაკენ მიმავალ ოსმალურ გემზე („თურქულ ყარამუსალზე“ თავის ასვლის ადგილს ავტორი არ უთითებს) (ლამბერტი 2020, 348). აქედანვე გაემგზავრა ჟან შარდენიც, ოღონდ საპირისპირო მიმართულებით – სამხრეთისაკენ (შარდენი 2018, 254).

1681 წლის ოქტომბერში ანაკლიას მიადგა ის თურქული გემიც, რომლითაც წიფურიაში განთავსებულ სამეგრელოს კათოლიკური მისიისაკენ მოემართებოდა თეატელი მისიონერი გაეტანო რასპონი.

## ისგაური // ისკურია // სკურჩა

პროპაგანდა ფიდეს მიერ აღმოსავლეთში გამოგზავნილი დომინიკელი მღვდელი ჯოვანი ჯულიანო და ლუკა რომში გაგზავნილი წერილით იტყობინებოდა, რომ 1630 წლის ივლისის დამდეგს მისი გემი მივიდა „სკურჩას (Scorcica, scoria), რომელიც სამეგრელოს პირველ პუნქტად ითვლება.“ (თამარაშვილი 1902, 145-146).<sup>6</sup> სკურჩა (// სკორჩა) გაიგივებულია სხვა უცხოურ წყაროებში მოხსენიებულ ისგაურთან (// იზგაური) (ტაბალუა 1987, 160, შენ. 42; ფადევი 1934, 116, 129; შარდენი 2018, 116, შენ. 56). ასევე გამოთქმულია მოსაზრება, რომ ისგაური, იგივე სკურჩა, ქართულ წყაროებში მოხსენიებულ ტყაყურუს წარმოადგენს: „ქართულ წყაროებში არ მოხსენიება ოდიშის ერთი მნიშვნელოვანი ნავსადგური, რომელსაც უცხოური წყაროები ისგაურს // ისკურიას უწოდებდნენ. შეიძლება ტყაყურუ ამ ნავსადგურის ქართული სახელი იყოს“ (ბერაძე 2018(ბ), 77; შდრ. ბერაძე 1981, 183; ცხადაია, ხორავა 2016, 17).

ისგაურის შესახებ დაწვრილებით და ძალზე საგულისხმო აღწერას გვაწვდის ჟან შარდენი. ისგაური სამეგრელოს იმდენად მოსახერხებელი ნავსადგური ყოფილა, რომ ამ მხარისაკენ წამოსული სავაჭრო გემები ამ ადგილას იყრიდნენ თავს. თავისი გემის შემოსვლისას შარდენს აქ უკვე ჩამომდგარი შვიდი დიდი გემი დაუთვლია. მისი თქმით, „ისგაური მივარდნილი, სრულიად დაუსახლებელი კუთხეა. აქ წნელებისაგან გაკეთებულ ფაცხებს დგამენ ვაჭართა ჩამოსვლის დროს და მაშინაც, როცა იშვიათ შემთხვევაში შიში არა აქვთ აფხაზთაგან თავდასხმისა. სხვა დროს კი აქ ერთ სახლსაც ვერ ნახავთ.“ (შარდენი 2018, 117).

ისგაურს მეორე სახელით, ისკურიად, იხსენიებს იოჰან გიულდენშტედტი და მას ისიც მოხერხებულ ნავმისადგომად მიიჩნევს (გიულდენშტედტი 1876).

ლამბერტის რუკაზე მის მიერვე მონიშნულ მდ. მარმარისწყალის მარცხენა ნაპირზე, ზღვის პირას, მისიონერს დატანილი აქვს წარწერა: „Turcharu Emporium“ – თურქთა სავაჭრო ფაქტორია (სავაჭრო ცენტრი). ეს უნდა იყოს უცხოურ წყაროებში მოხსენიებული ისკურია და ქართული წყაროების ტყაყურუ (ფადევი 1934, 129; ბერაძე 2018(ა), 122;

<sup>6</sup> ილ. ტაბალუასთან არსებული თარგმანით: „პირველ ივლისს იალქნები ავუსვით და დღენახევარში მივედით სამეგრელოს ერთ-ერთ ადგილზე, რომელსაც სკორჩა ჰქვია.“ (ტაბალუა 1987, 160).

ცხადაია, ხორავა 2016, 17). თუმცა მკვლევარები იმასაც აღნიშნავენ, რომ ეს წარწერა „შეცდომითაა დატანილი რუკაზე, უნდა იყოს მდ. კოდორის მარცხენა ნაპირზე“ (ცხადაია, ხორავა 2016, 17).

მეორე მოსაზრებით, ისგაური // ისკურია მდებარეობდა სკურჩის ყურესთან (მდ. მარმარისწყალი იგივე სკურჩაა); (ფადეევი 1934, 129; ბე-რაძე 1981, 183).<sup>7</sup>

### სოხუმი

კათოლიკე მისიონერებთან ასევე ვხვდებით სოხუმის საზღვაო პორტის მოხსენიებას. სამეგრელოში მრავალწლიანი მოღვაწეობის დასრულების შემდეგ იტალიაში გაბრუნებული არკანჯელო ლამბერტის ხომალდის პირველი შეჩერება ყოფილა „აბასხების (//აბასკების) პორტში“, რომელსაც სოხუმი (Soccumbe) რქმევია და აქ 10 დღით მოუწიათ გაჩერება სხვა მგზავრების ლოდინში (ლამბერტი 2020, 348).

უფრო ადრე, 1630 წლის 21 მაისს, დომინიკელი მისიონერი ჯოვანი და ლუკას გემს შეუვლია ძველ (ანტიკურ) ქალაქ სკისორნუმში (Schissornum). აქ მას გაუცვნია გემის შესახვედრად, მრავალრიცხოვანი ამალის თანხლებით, ნაპირთან მოსული „თავადი პუტო“ (თამარაშვილი 1902, 144; ტაბალუა 1987, 157). სხვაგან იგივე მისიონერი მოგვითხრობს, რომ აფხაზებს „აქვთ ერთი ძალიან კარგი ნავსადგური. აქ ყოველწლიურად მოდიან ხომალდები ლაზეთიდან, ტრაპეზუნტიდან და კაფადან. ზოგჯერ ისინი აქ ზამთარსაც ატარებენ. ამ ნავსადგურს ეწოდება ესკისუმუნი.“ (ტაბალუა 1987, 170). მიჩნეულია, რომ ორსავე შემთხვევაში ქალაქი და ნავსადგური სოხუმი იგულისხმება, მისი სახელწოდების ორი განსხვავებული ვარიაციით.<sup>8</sup>

აღსანიშნავია, რომ გიულდენშტედტი სოხუმის ციხეს ერთგან მოიხსენიებს, როგორც „ციხე სოკუნკალას“ (Sokunkala), სადაც თურქების ფაშა ზის (გიულდენშტედტი 1964, 51), რაც თურქულ სახელ – სოხუმ-

<sup>7</sup> ვფიქრობ, ამ ნავსადგურის ადგილმდებარეობის დაზუსტებას ცალკე გამოკვლევა უნდა მიეძღვნას, რასაც ახლო მომავალში ვგეგმავთ.

<sup>8</sup> ილ. ტაბალუა სქოლიოში პირველ შემთხვევაში მიუთითებს: „სკისორნუმ, ესკისუმუნ – თურქულად: „ესკი სუხუმ“ – ძველი სოხუმი“ (ტაბალუა 1987, 157, შენ. 36); მეორეში – „ესკისუმუნი – „ესკი სუხუმი“, თურქულიდან: „ძველი სუხუმი“ (ტაბალუა 1987, 170, შენ. 64). თუმცა საეჭვოა, რომ ჯოვანი და ლუკა ერთი და იმავე წერილში ორი განსხვავებული სახელწოდებით აღნიშნავდეს ერთი და იგივე პუნქტს. ვფიქრობ, ეს საკითხიც მეტ ჩაღრმავებას საჭიროებს.

ყალას დამახინჯებული დაწერილობა ჩანს (გიულდენშტედტი 1964, 51, შენ. 1). სხვაგან გამოქვეყნებულ სტატიაში ის სოხუმს ახსენებს Сочух Хапа-ს ფორმით, რომელიც, მისი აღწერლობით, „ოთხკუთხოვანი გალავნით შემოზღუდული ადგილია ტამანიდან დაახლ. 120 ვერსის მანძილზე, სამხრეთ-აღმოსავლეთით, რომელთანაც კარგი ნავმისადგომია. ის ამჟამად უმთავრესი ადგილია აფხაზეთში, სადაც თურქებს დასმული ჰყავთ უფროსი“ (გიულდენშტედტი 1776).

რასაკვირველია, დასავლეთ საქართველოს ნავმისადგომები ზემოაღწერილი ნავსადგურებით არ ამოიწურებოდა. თუმცა ვინაიდან მათ შესახებ XVII ს-ის კათოლიკე მისიონერებთან რაიმე გარკვეული მითითება არ მოგვეპოვება, ამ გარემოებამ ჩვენი კვლევის ფარგლების შემზღუდა განაპირობა. აღნიშნულ ხანაში საქართველოს საზღვაო ნავსადგურების საკითხის სრულყოფილ გამოკვლევას ყველა შესაბამისი წყაროს (მათ შორის გვიანშუასაუკუნეების ევროპული და ოსმალური რუკების) შეწავლა და მათი შეჯერება სჭირდება, რაც ამ მიმართულებით მუშაობის წარმართვის შემდგომ ეტაპად წარმოგვიდგენია.

### გამოყენებული ლიტერატურა

- ბერაძე, თამაზ. 1981. *მღვაოსნობა ძველ საქართველოში*. თბილისი: ნაკადული.  
Beradze, Tamaz. 1981. *Zghvaosnoba dzvel sakartveloshi*. Tbilisi: Nak'aduli.
- ბერაძე, თამაზ. 2018ა. „ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით.“ წიგნში *შრომების კრებული სამ ტომად*, ტ. I. თბილისი.  
Beradze, Tamaz. 2018a. „*Odishis samtavros ruk'a arkanjelo lambert'is mikhedvit.*“ In *Shromebis k'rebuli sam t'omad*, vol. I. Tbilisi.
- ბერაძე, თამაზ. 2018ბ. „XVII სს-ის პირველი ნახევრის ოდიშის რუკა.“ წიგნში *შრომების კრებული სამ ტომად*, ტ. I. თბილისი.  
Beradze, Tamaz. 2018b. „*XVII ss-is p'irveli nakhevr's odishis ruk'a.*“ In *Shromebis k'rebuli sam t'omad*, vol. I. Tbilisi.
- *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში*. 1962. ტ. I. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბილისი: მეცნიერების აკადემიის გამომცემლობა.  
Giuldensht'edt'is mogzauroba sakartveloshi. 1962. Vol. I. Germanuli t'ekst'i kartuli targmaniturt gamostsa da gamok'vleva daurto G. Gelashvilma. Tbilisi: Metsnierebis ak'ademiis gamomtsemloba.
- *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში*. 1964. ტ. II. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბილისი: მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

- Giuldensht'edt'is mogzauroba sakartveloshi. 1964. Vol. II. Germanuli t'ekst'i kartuli targmaniturt gamostsa da gamok'vleva daurto G. Gelashvilma. Tbilisi: Metsnierebata ak'ademiis gamomtsemloba.
- თამარაშვილი, მიხეილ. 2011. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. 1902 წლის რეპრინტული გამოცემა. თბილისი: სიესტა.  
Tamarashvili, Mikheil. 2011. *Ist'oria k'atolik'obisa kartvelta shoris*. 1902 ts'lis rep'rint'uli gamotsema. Tbilisi: Siest'a.
  - კასტელი, დონ კრისტოფორო. 1976. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ. თბილისი.  
K'ast'eli, Don K'rist'oporo. 1976. *Tsnobebi da albomi sakartvelos shesakheb*. Tbilisi.
  - ლამბერტი, არქანჯელო. 2011. სამეგრელოს აღწერა. თბილისი.  
Lambert'i, Arkanjelo. 2011. *Samegrelos aghts'era*. Tbilisi.
  - ლამბერტი, არქანჯელო. 2020. წმინდა კოლხეთი. იტალიურიდან თარგმნა გიორგი ცქიტიშვილმა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა დავით მერკვილაძემ. თბილისი.  
Lambert'i, Ark'anjelo. 2020. *Ts'minda k'olkheti*. Tbilisi.
  - მერკვილაძე, დავით. 2022. „ტყვეთა სყიდვა დასავლეთ საქართველოში იტალიელი მისიონერების ცნობების მიხედვით (XVII საუკუნე).“ შრომების კრებული, #14. ზუგდიდი: შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი.  
Merk'viladze, Davit. 2022. „*T'q'veta sq'idva dasavlet sakartveloshi it'alieli misionerebis tsnobebis mikhedvit (XVII sauk'une)*.“ Shromebis k'rebuli, #14. Zugdidi.
  - რასპონი, გაეტანო. 1681. გაეტანო რასპონის რელაციონე სამეგრელოს შესახებ. თეატინელთა გენერალური არქივი. [https://missio.iliauni.edu.ge/ka/factoid?source\\_id=12](https://missio.iliauni.edu.ge/ka/factoid?source_id=12)  
Rasp'oni, Gaet'ano. 1681. *Gaet'ano rasp'onis relatsione samegrelos shesakheb*.
  - ტაბაღუა, ილია. 1986. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XX სს-ის პირველი მეოთხედი). ტ. II (1600-1628 წწ.). თბილისი: მეცნიერება.  
T'abaghua, Iliia. 1986. *Sakartvelo evrop'is arkivebsa da ts'ignsatsavebshi*. Vol. II. Tbilisi: Metsniereba.
  - ტაბაღუა, ილია. 1987. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XX სს-ის პირველი მეოთხედი). ტ. III (1628-1633 წწ.). თბილისი: მეცნიერება.  
T'abaghua, Iliia. 1987. *Sakartvelo evrop'is arkivebsa da ts'ignsatsavebshi*. Vol. III. Tbilisi: Metsniereba.
  - ცხადაია, პაატა და ბეჟან ხორავა. 2016. აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი. თბილისი.

Tskhadaia, P'at'a and Bezhan Khorava. 2016. *Aphazetis geograpiuli sakhel-ts'odebani*. Tbilisi.

- შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). 2018. ფრანგულიდან თარგმნეს მზია მგალობლიშვილმა და გიორგი სანიკიძემ. თბილისი.  
*Shardenis mogzauroba sp'arsetsa da aghmosavletis skhva kveq'nebshi*. 2018. Tbilisi.
- ჩელები, ევლია. 1971. *მოგზაურობის წიგნი*. ნაკვ. I. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ. თბილისი.  
Chelebi, Evlia. 1971. *Mogzaurobis ts'igni*. Vol. I. Tbilisi.
- Гильденштадт, Иоганн Антон. 1776. *О гаванях по Азовскому, Черному и Белому морям*. Санкт Петербург: Императорской Академии наук.  
Gil'den'tadt, Iogánn Antón. 1776. *O gavanâh po Azovskomu, Černomu i Belomu morâm*. Sankt Peterburg.
- „Письмо посланное с Востока отца Луи Гранжие его преподобию отцу Клод Аквавива...“ 1915. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа. Вып. 44, отд. 3. Тифлис.  
„Pis'mo poslannoe s Vostoka otca Lui Granžie...“ 1915. SMOMPK. Vol. 44. Tiflis.
- Такайшвили, Эквtime. 1915. „Заметка относительно Satrapella.“ Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа. Вып. 44, отд. 3. Тифлис.  
Takaišvili, Ekvtime. 1915. „Zametka odnositel'no Satrapella.“ SMOMPK. Vol. 44. Tiflis.
- Фадеев, Александр. 1934. *Краткий очерк истории Абхазии*. Часть первая. Сухум: Абгиз.  
Fadееv, Aleksándr. 1934. *Kratkij oČerk istorii Abhazii*. Suhum: Abgiz.

**Davit Merkviladze**

*Senior Research Fellow at the Iv. Javakishvili  
Institute of History and Ethnology*

**Georgian ports of the 17<sup>th</sup> century,  
according to the Catholic missionaries**

Various European authors who worked or traveled in Georgia offer insights into Georgian ports in the 17th century. Notably, Catholic missionaries such as Arcangelo Lamberti, Cristoforo Castelli, Gaetano Rasponi, Luis Grange, and Giovanni Giuliano da Luca are prominently featured. To complete the picture and compare sources, we also examine accounts by Jean Chardin and Johann Anton Gldenstdt. This study aims to clarify the significance of each port in modern Georgia.

With this context in mind, this study aims to examine and clarify the significance of each port in modern Georgia by specifically reviewing and comparing materials from Catholic missionaries and traveler records, and by providing a brief characterization of each port's historical and economic importance.

**Keywords:** *Lamberti, Georgian ports, Castelli, Catholic Missionaries*